დროება

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 284 კვირა, 20 დეკემბერი 1909 წ. დამატების № 50



მხერხავი მუშა,

ქანდაკება ალფრედ ბუშესი.

სონეტები.

—:—

ა.

ღამეა ბნელი.
უსაზღვრო. ირცელი.
გარეთ თოვს, ჰყინავს, შიგნით კი ცივა,
ღაწვზე თრთის მწუხრი... და ცრემლი მწველი
კვლავ ღაპა-ღუპით თვალთაგან მცვივა.

ბ.

ვწყევარ სარეცელს...
და ჩემს ალოცველს
შენს სურათს ვკითხავ... გულს მისვენია...
ვლოცულობ მასზედ... ვალბობ ცრემლებით.
„ნუ სტირ, ჯაბუკო, ეგ ხომ შენია?!“
მომესმა
ეს ხმა
ჩურჩულ-ვედრებით!

გ.

ხან მსურს, ვით სიო, შენ ჩემს წინ ახლო
გამოსრიალდე, გამოიქროლო;
მსურს გეკვრეტდე შორით... ხელი არ გახლო,
გულისა ტოლო,
სატრფოვ ობოლო!..

*

ხან ოცნებაში სიზმრადა გხედავ,
ხან, ვით სატანა, მომეჩვენები;
მაგრამ კრინტს ვერ ვძრავ... ვერას გიბედავ
და უხმოდ ვიწვი, ვიტანჯვი, ვდნები!..

დ.

ვეძიებ შენს კვალს,
ვიყუჩებ მწველ ალს,
თაყვანს ვცემ შენს ძალს,
შენს ხმებს იდუმალს,—

მიჯნურის მოლოდინში,

მერაკუმენსის სურათი.

ჯერედ ნორჩ-ჭაბუკს,
შენ გიკმევ გუნდრუკს,
ვეამბორები შენს ფერხთ ნატერფალს!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე.

ოდეს შენთან ვარ,—და ან, ნეტავ, როდის არა ვარ?!—
შენს სახის ნაკვთზე, როცა ვამჩნევ ნათელსა ღიმილს,
როს ვგრძნობ შენს სუნთქვას, მესმის შენი ნაზი ჩურჩული,
ახ, უკვდავებავ! წამს მიქარწყლებ გულისა ტკივილს.

ვ.

ტკბილ ბურანში მყოფს,
მწირს, გულ-ჩათხრობილს;
შენით ავადმყოფს,
წყეულ-დაგმობილს,—
შენც პირს მარიდებ, შენც მემალები?..
მე თვით არ მესმის,
თავს-ბრუ რად მესხმის.—
ჩემო სულის დგმავ, არ გებრალები?!..

ზ.

დილის ცის ნამი მკერდს გეხუტება,
მთვარე გუშაგად მაღლით დაგცქერის,
ჩანჩქერი პირს გბანს, დუდუნ-ბუტბუტებს,
გთავაზობს შხეფებს... „ნანას“ დაგმღერის;
ალვის ხედ გარხევს ცელქი ნიავი,
ფერ-მკრთალი ია გეთამაშება,—
მაგრამ... ვაიმე! ჩემი ვარდი კი
ჯერ არ გაშლილა და უკვე სჭკნდება!...

ი. გრიშაშვილი.

გიცან, ხარ გველი!

გიცან, ასპიტო, შხამით აღვსილო,
მიგიხვდი გესლსა და უკმეხობას;
ველარ მომალბობს შენი ალერსი
და ვერც მოჰხიბლავს მაღალსა გრძნობას!
ტყუილად სცდილობ, დაიმონავო
ივერიელი ამაყი შვილი:
მეფე ვარ ჩემთა გულის წადილთა,
ცას ესმის მხოლოდ სულის ჩივილი!
მაშ ნულარ ჰგონებ მომაკვდავ ვნებით
ეშხით დამთვრალსა გამიბა ქსელი;
გამხადო მოძმის ბნელ მუხანათად,
აღმიგო ძეგლი შემარცხვენელი.
არა!.. ვერ შესძლებ!.. გამშორდი, კმარა!..
ვერა, ვერ მომტეხ! გიცან, ხარ გველი!

ა. შანშიაშვილი.

ნეტა იმ დროსა!

—:—

მახსოვს: ყრმობის ჟამს ბაღში ვრბოდი, ვთქერავდი ბალახს,
უცბად წავაწყდი ბალახთ შორის ნაზსა შროშანას.
გახარებულმა მყის მოვსწყვიტე ყვავილი კრძალვით,
გულში ჩავიკარ და დედისკენ გავკურცხლე სწრაფვით.
თანა ვკოცნიდი ალერსითა ყვავილს გულს ჩაკრულს, —
განა ჰქონდაღა დასასრული ჩემსა სიხარულს?!
დედა! ყვავილი! ეს ახარებს ყმაწვილის ნორჩ გულს;
რა ორნივ დასჭკნეს, მყის ზამთარი მიჰხდეს მის ზაფხულს...—
მივრბოდი, მაგრამ წამოვკარი ფეხი ავ ქვასა
და ზედ გავერთხე მოკენჭილსა და გამხმარს გზასა.
ვაი დავკარგე ყვავილი მაშინ,
რაღა ვახარო დედასა აწ შინ?
თავიც გამიტყდა, სისხლი ჩამოდის
და მას მდინარე ცრემლისა ერთვის.
ავდექი მაშინ სევდიანი, დაღონებული,
შინ მივდიოდი და უკან კი მრჩებოდა გული.
მაგრამ შევნიშნე ამ დროს ველზე ჭრელი პეპელა,
ნაზი და ტურფა ატოკებდა ყვავილსა ნელა.
მისის დანახვით დამავიწყდა ცრემლი—სუყველა,
გახარეპულმა მოვისურვე მისი დაჭერა...
ნეტა იმ დროსა! ვის არ მოსწყდეს გულის სიღრმიდან
ეს წმინდა ნატვრა ყმაწვილობის ტკბილი დროიდან!
ისე არ იყო მწუხარება მაშინ ღრმა, გრძელი,
რომ წუთს შესცვლიდა სიხარულად პეპელა ჭრელი.
რაღაა ეხლა ეს ცხოვრება, ძმა შავ-ბედისა?
დასჭკნა ყვავილი და ალერსი ტკბილი დედისა,
წარიღო ყრმობა ჟამმა ავმა შვების მმუსვრელმა
და ობოლს გულში ბინა დასდო მწარე ნაღველმა.
მობრუნდება ღა ნეტა კიდევ ყრმობისა ჟამი,



არტისტი გ. გედევანოვი (მირაღიანი).

წელს 21 წელიწადი შესრულდა, რაც არტისტი გედევანოვი ქართულ სცენაზე მოღვაწეობს, ხოლო 25 წელიწადი—რაც სომხურ სცენაზე.

დედა, ალერსი—ნეტარების უმანკო წამი?
ვაი, ვინ იტყვის სოფლის შვილი მას გაჰედვითა,
რომ ხვალ მნათობი აღმობრწყინდეს დასავლეთითა!

ი. მჭედლიშვილი.

ნარგიზის ფიქრი.

—§§—

ის-კი არ მოსწყვიტა, ფრთხილად ამოიღო მიწიდან
მზრუნველმა და მოსიყვარულე ხელმა, მაგრამ ხელმა მაინც
კაცისამ. მშობელი მიწაც ამოაყოლეს იმის ფესვებს, გადარ-
გეს თიხის ქოთანში, უფრო ნოყიერს და ხელოვნურად შემ-
ზადებულს მიწაში. დილა-საღამოს წყალს უსხამდნენ, პაწაა-
წინა ბროლის თითები უსწორებდნენ ნიადაგს. ხშირად ყნო-
სავდნენ, თავს ევლებოდნენ.

მოაკლეს ცხოველ-მყოფელ მზის სხივებს, ნაზ ნიავს,
ჟუჟუნა წვიმას, კამკამა ღამეებს, როცა ცა ვარსკვლავებით
იჭედებოდა, როცა ნიავი ოდნავ ჰქროლავდა, ნაზად არხევდა
და ყურს ჩასძახოდა შორიდან დანაბარებს: „უყვარხარ, უყ-
ვარხარ, იმას უყვარხარო“. გაბრუებული ყურს მიუგდებდა
ხოლმე იქ სადღაც ტოტზე მწარედ მკვნესარს, მოქარგულს
ენას, აღმა მფრენ გრძნობას, ხან-კი სრულიად სასო წარკვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თილს ქვეყნის მესალამურეს. ისმენდა და ჰგრძნობდა განუსაზღვრელ თავისუფლებას, თავის ძალას, თვის არსებობას, და ბედნიერი იყო.

დღეს, დღეს რაღაა? უმწეოდ ქმნილი, ღონე მიხდილი, მისუსტებული, ერთ პაწაწინა თიხის ქოთანშია ტუსაღივით გამომწყვდეული. ან-კი რად უნდა ის ფუფუნება, ალერსი, რომელსაც ხარჯავს მასზე ადამიანი?

მაგრამ არა, არა უშავს-რა, ასე სჯობიან: კეთილი ყოფილა კაცის გული, მან ჩემს მომავალზე იფიქრა. შემეძლო ზაფხული მხიარულად გამეტარებინა, მერე-კი ზამთარი მისწრებდა. ტრიალ მინდორში უბინაოს, უსახლ-კაროს ყინვის სუსხი დამთრთვილავდა და შემდეგ სულ გამყინავდა. ველარ მიხსნიდა ბულბულის სტვენა მძაფრ ყინვისაგან. განა იმისი სიყვარული ჩემდამი ისე ძლიერი იყო, რომ, ვით მეგობარს, თავი განეწირა და მსხვერპლად დაედო თავი ჩემთვის? განა მოსალოდნელი იყო, არ გაჰქცეოდა ქარ-ბუქა ამინდს შევეხვიე, თავის თბილ ბუმბულში გადავერჩინე გაყინვისაგან?

კეთილია ადამიანი... გადამარჩინა აი აქ, გემოვნებით მორთულ დარბაზში, რგვალ მაგიდაზე ვზივარ თამამად. ეს კუთხე ჩემი სამფლობელოა. ცივ ღამეებში სასიამოვნოდ გაიჩაღებენ ამ ბუხარს. მოუსხდებიან, მუსაიფობენ. იმათაც აქვთ მცირე გრძნობა, იციან თურმე სიყვარულიც. ვინ იცის, რაოდენ რამის მოწამე გავხდე ამ ბნელ კუთხიდან?! ისინი ხომ ვერ წარმოიდგენენ, რომ მე ვგრძნობ, მესმის მათი სიტყვები, ნაზი ჩურჩული, კოცნა, ალერსი... რა მენაღვლება, მეც გავჩუმდები!..

ხშირად მომესმის, ჩემს შესახებაც ლაპარაკობენ: „გაზაფხულდება და ჩვენი ნარგიზი, რა თქმა უნდა, იბღარტებს, გამრავლდებაო“. ჰმ, ღმერთმანი, სასაცილოა მთელი ჩემი ცხოვრება. არ ვიცი, როგორ უნდა გავმრავლდე... მაგრამ დრო მოვა და გავიგებ, მანამდის-კი დამრჩენია, მხოლოდ დავჩუმდე.

როდესაც მოვა კვლავ გაზაფხული, აივანში გამიტანენ, ბაღის მხარეზედ მოაჯირზე დამდგამენ და დავინახავ, თბილ ქვეყანაში გამოზამთრებული, ის ჩემი სატრფო როგორ დაუწყებს სხვებს გალობას მომხიბლავ ჰანგზე. მე ამაყად გადავხედავ და ასე ვეტყვი: მატყუარავ, ფლიდო, ორ პირო! არა გაქვს უფლება, ჰგალობდე მაგნაირ ხმაზედ, არა ხარ მგოსანი, რომლის წესია ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ უყვარდეს, უყვარდეს ჭეშმარიტად, გარდაუვალად. შენ-კი გეტყობა ბევრჯერ გაუღე გრძნობას გულის კარები, მაშასადამე, არშიყი ხარ და არა მგოსანი. მე-კი ამაყად ვატარებ გულში ჩემს შეუმწიკვლელ მაღალ გრძნობას... შვილებს გადავსცემ და მათ ვასწავლი, როგორც უნდა სიყვარული...

ფიქრობდა ასე თავ-დახრილი და მოწყენილი ყვავილი. აღარ ცელქობდა, სიდარბაისლეს მოეცვა მთელი მისი არსება.

მ. გარიყული.

ხალხური თქმულება

(ჩაწერილი სოფ. გარიყულაში გოჩიტაშვილისაგან).

ყოფილა ვინმე გლეხკაცი, ბედნიერი და მადლიერი თავის ცხოვრებისა. იმის ოჯახში, ამბობენ, ყველაფერი სდუღდა და, გადმოდიოდა, რაც ენატრა ღმერთს ყველაფერი მიეცა, ამიტომ მას ღვთისავარას ეძახდნენ. ღვთისავარას სამი შვილი ჰყავდა სამივე პატარაობიდან თავის მორჩილებაში აღზარდა და სამივეს მიწის დამუშავება შეასწავლა; ერთი რომ ხნავდა, მეორე სთესავდა, მესამე კიდევ ფარცხავდა. სოფელიც ასე უწოდებდა მხვნელს-უხნავს, მთესველს-უთესას დამფარცხავს-უფარცხავს.

ღვთისავარა რომ გაისტუმრებდა შვილებს სამუშაოდ, დაიბარებდა სათითოოდ და ეტყოდა: შვილო უხანა, ვინძლო ისე მოხნა, რომ ნახნავს ნაღარი არ შეჰყვეს, ხარვეჟები არ გაუშავა, ვინაიდან ამან წრიაკი და ულონო ყანა იცისო. უთესას ეტყოდა: შვილო, ისე თესე, რომ ერთი მუჭა თესლი ერთ გაქნევაზე გეყოს, ვინაიდგან თხლად ნათესი გლეხს თავს არ ასდისო. უფარცხას ეტყოდა: კარგად მოფარცხე, ბელტი არ შერჩეს ხნულს, თორემ თესლი დაუმარხავი დაგრჩება და, იცოდე, მშრალზე დავარდნილ მარცვალს ბევრი მტერი ჰყავსო.

სანამ შვილები მამის მორჩილებაში იყვნენ, მანამდის ოჯახის საქმეც კარგად მიდიოდა, სოფელიც და მეანიულეებიც ემადლიერებოდნენ: იმათ ნახნავ-ნათესს ღვთის თვალი ზედ დასტრიალებდა.

გავიდა დრო. წამოიზარდნენ ღვთისავარას შვილებიც, მოისვეს თავზე ხელი და დაიწყეს მამის ურჩობა; ეხლა აღარას დაგიდევდნენ მამის დარიგებას! ამიტომაც იყო, რომ არა ერთი მეზობელი მიადგებოდა ხოლმე ღვთისავარას კარებს შვილებზედ საყვედურით. იცოდა მოხუცმა მიზეზი ჩივილისაც და მოუსავლობისაც,—ალბად შვილებს ეღალატნათ მის დარიგებისათვის, გული ვერ უთმენდა და მალ-მალ ეტყოდა: შვილებო, გიყვარდეთ სიმართლე...

მოსწყინდათ შვილებს მამის დარიგება და გადასწყვიტეს მოხუცის თავიდან მოშორება. ერთ დღეს შვილებმა მამა ხვნაში თან წაიყვანეს. გამოუშვეს გუთანი სამხრის დროს ვერხვის ძირში, იქვე შორიახლო მოხუციც წამოწოლილიყო ჩრდილოში და თვალები ელულებოდა და შვილების ლაპარაკს ყურს უგდებდა: ვერ გაჰბედეს შვილებმა მამისთვის აქ ხელი ეხლოთ, თუმცა კი მოხუცს ამ ტრიალ მინდორში მაშველა ღვთის მეტი ირავინა ჰყავდა: ბევრი თათბირის შემდეგ შვილებმა გარდასწყვიტეს,—ამაღამვე, შინ დაბრუნებისას მოეყვანათ სისრულეში თავაანთი განზრახვა. მოხუცმა აქ ყველაფერი მოისმანა...

დაბრუნდნენ სახლში დაღალულ-დაქანცული. სოფელი ძილად მიიქცა. არ აძინებდა ბოროტ-განზრახვა მხოლოდ ღვთისავარას შვილებს. დადგა წამი, სიბოროტე მეფდებოდა. დიდ ბჭობაში იყვნენ შვილები, — ვისა რგებოდა მამასთან პირველად მისვლა... ფეხ აკრეფით ადგა ღვთისავარა, გამოვიდა სოფელში, ავიდა სამრეკლოზე და ასტეხა ზარების ჩახა-ჩუხი. მთელი სოფელი ფეხზე დადგა. ხალხი ეკლესიისკენ გაეშურა. მოვიდნენ, ნახეს, — ღვთისავარა რეკავს ზარებს. გადმოდგა ღვთისავარა სამრეკლოდან, აუწყა აღელვებულ ხალხს შვილების განზრახვა და უთხრა: ამაღამ სიმართლეს მარხავდნენ და მინდოდა მეზობლები მაინც მოსულიყვნენ სატირლადაო. ამის შემდეგ უთხრა ხალხს: „როცა სიმართლეს მარხავდეთ, თუ მეგობარს არა, მეზობელს მაინც შეატყობინეო“.

ამავე თქმულებაზე იტყვის ხალხი შემდეგ ლექსს:

ღვთისავარ, გულჩათხრობილი
რათ არ გიცინის სახეო?
რაღა ვიცინო, ძმობილო,
ბევრი სიმწარე ვნახეო!
ბევრი ვიარე, გადამხდა,—
კარგიც და ავიც ვნახეო,
დაჩაჩანაკებულს სახესა
ღიმილი დავიმარხეო!
შემომტიროდა სიმართლე:
შვილებს დაეგოთ მახეო,
ყელში წაებათ საბელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲕᲐᲒᲝᲜᲨᲘ.

ზედ მიეყარათ ქვა, ხეო,
უხანას თავში დაეკრა,
უთესას ეთქვა მკვახეო,
უფარცხას, ულვაშ-გრეხილას
ეცინა,—ეს რა ვნახეო!
ლერწამი ამოსულიყო
საფლავს დარაჯათ, არხეო,
სიმართლეს ევედრებოდა,
აღზდექ, ქვეყანა ნახეო.
ვეღარ გაუძელ ამდენს ჯავრს,
აქ ხერხი გამოვნახეო:
ზარი დაუკარ მეზობელს,
მოვიდა მოვაგლახეო;
სიმართლე ცრემლით იტირა,
იოხრა გულით: ვახ მეო!
კალთით გატარებ, მოგართმევ
ოქროს აკვანსა რასმეო;
გეძებდი დუნია—ლელეთს,
შენთვის სისხლის ოფლს ვანთხეო;
რათ ქსურს დაგვტოვო მარტოკა
მომტირალ, მოვაგლახეო!
ბოროტსა შურის ძიება
თვალს პირდაპირ უძრახეო,
ძმას ძმისგან დაჭრილ-დაკაფულს
გულს შვება დაუსახეო!
ღვთისა ტაძარსა გვიგებდე,
მოვიდეთ მოვაგლახეო,
შევფიცდეთ ერთმანეთს ძმობას,
იქ დავგმოთ მტრისა მახეო!

ი. კარგარეთელი.

ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

უმავთულო ტელეფონი რკინის გზებზე.

ამერიკელ ახალგაზრდა ელექტრო-ტეხნიკოს ლარიოხს ამ მოკლე ხანში გამოუგონია ახალი სისტემის უმავთულო ტელეფონი. ლარიოხის უმავთულო ტელეფონი გამოუცდიათ ნიუ-ჯერსის შტატში, ერიოს რკინის გზაზე სადგურიდან გაუშვიათ ჩქარი მატარებელი რომელიც საათში 102 ვერს გადიოდა. ლარიოხს თავის ტელეფონით ლაპარაკი დაუწყვია. მატარებლით წასულ მთავრობის წარმომადგენელთან. გამოცდამ დაამტკიცა, რომ ლარიოხის უმავთულო ტელეფონით სადგურსა და მატარებელს შუა მუდმივ კავშირის დაჭერა შეიძლება. ამავე ლარიოხს გამოუგონია ავტომატიური ტორმოზი მატარებლის რელსების პარალელურად ლერიოხს გაჰყავს ერთი ზედმეტი რელსი. ამ რელსის საშუალებით მთელი რკინის გზის სიგრძეზე ელექტრონი გადის. თუ რომელსამე ადგილას რკინის გზის ლიანდაგი გაფუჭდა ან გააფუჭეს, ელექტრონის დენა სწყდება და ავტომატიური ტორმოზი მოქმედებაში მოდის. ლარიოხის ავტომატიური ტორმოზი გამოუცდიათ და კარგ შედეგისთვის მიუღწევიათ. ეხლა ლარიოხი ამტკიცებს თურმე, რომ ჩემი ტორმოზის საშუალებით მატარებლების დაჯახება შეუძლებელიაო. მიუახლოვდებიან თუ არა მატარებლები ერთმანეთის იმწამსვე ტორმოზი ავტომატიურად მოქმედებაში მოვა და მატარებლები უეცრად შეჩერდებიანო.

გაზეთი ბავშვებისთვის.

პარიზში ამ ბოლო დროს გამოდის ახალი გაზეთი „ერო დუ კეროფ-ვოლანტი“ გაზეთი პატარა ბავშვებისთვის გამოდის და აზრად აქვს დააკმაყოფილოს ის პატარა ბავშვები, რომელთაც ჰაერში ფრენა აინტერესებთ. გაზეთს რედაქტორობს თორმეტი წლის ბავშვი—ჟორჟ რუარი. გაზეთს უკვე 200 ხელის მომწერი ჰყავს და მათ შორის, როგორც ამპარტავნულად აცხადებს თორმეტი წლის რედაქტორი, არიან „დიდი კაცებიც“ ამასთან 12

ᲠᲐ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ ᲛᲝᲔᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲛᲝᲓᲐᲡ.

(გერმანული კარიკატურა).

წლის რედაქტორი ჟორჟ რუარი აცხადებს, ჩვენი თანამგრძნობელია უმაღლეს ავიატიკის მცოდნე და ჰაერში მფრინავი ცნობილი დელიაგრანჟიო. დელიაგრაჟენს პატარა რედაქტორისთვის წერილი გაუგზავნია, მიულოცნია და გამარჯვება უსურვნია.

რედაქტორ-გამომცემელი Ი. Ხ. ᲐᲒᲚᲐᲫᲔ
ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სინათლე“, ტფილისი, რუსის ქუჩა. № 3